

**უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - განახლებადი ენერჯის მენეჯმენტი

**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერჯის მენეჯმენტში

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**

- იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომელთაც აქვთ ქართული ენის კომპეტენცია - 116 კრედიტი
- იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომელთაც არა აქვთ ქართული ენის კომპეტენცია - 146 კრედიტი

**სწავლების მიზანი:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შეემაჯღეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

**სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს, ორგანიზება გაუწიოს და განახორციელოს განახლებადი ენერჯის მენეჯერის საქმიანობები;
2. აღწეროს და გამოიყენოს განახლებადი ენერჯის კანონმდებლობა და რეგულაციები;
3. შეაფასოს განახლებადი ენერჯის გარემოზე გემოქმედება;
4. წარმართოს ელექტრული ქსელების, მოწყობილობების და მართვის სისტემების მონტაჟი და ოპერირება;
5. ზედამხედველობა გაუწიოს ელექტრული ქსელების, მოწყობილობებისა და მართვის სისტემების მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
6. დაგეგმოს და წარმართოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
7. ზედამხედველობა გაუწიოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
8. დაგეგმოს და წარმართოს ქარის ენერჯის პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
9. ზედამხედველობა გაუწიოს ქარის ენერჯის პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
10. დაგეგმოს და წარმართოს მზის ელექტროენერგეტიკული (PV) პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
11. ზედამხედველობა გაუწიოს მზის ელექტროენერგეტიკული (PV) პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
12. დაგეგმოს და წარმართოს მზის წყალგამაცხელებელი ენერგეტიკული სისტემების მონტაჟი და ოპერირება;
13. ზედამხედველობა გაუწიოს მზის წყალგამაცხელებელი ენერგეტიკული სისტემების მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
14. დაგეგმოს და წარმართოს გეოთერმული ენერგეტიკის პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
15. ზედამხედველობა გაუწიოს გეოთერმული ენერგეტიკის პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
16. დაგეგმოს და წარმართოს ბიომასის ენერგეტიკის პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
17. ზედამხედველობა გაუწიოს ბიომასის ენერგეტიკის პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს.

**დასაქმების შესაძლებლობები:**

- კერძო და საჯარო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მოიცავს განახლებადი ენერჯის სისტემების მშენებლობას, ინსტალაციას, გამართვას, ოპერირებას/ექსპლუატაციას, ზედამხედველობას, სპეციფიური დანადგარების, მოწყობილობების და სისტემების მომსახურებას.
- ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ საყოფაცხოვრებო და საწარმო შენობების ელექტრო და თბომომარაგების მოწყობილობების და სისტემების მონტაჟს და მათ ინსპექტირებას.
- სახელმწიფო უწყებებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განახლებადი ენერჯის სისტემების განვითარების მხარდაჭერაზე, რეგულირებასა და პოპულარიზაციაზე.
- საინჟინრო და საკონსულტაციო კომპანიებში, რომლებიც ახორციელებენ განახლებადი ენერჯის გამოყენების და განვითარების ტექნიკურ მხარდაჭერას და მომსახურებას.
- კვლევით ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში, რომლებიც ორიენტირებული არიან განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებაზე,
- სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განახლებადი ენერჯის სპეციალისტების მომზადებაში და გადამზადებაში, როგორც მასწავლებლები, მენტორები, ინსტრუქტორები ან ტექნიკური ექსპერტები.